



www.gspssa.org.ge

საქართველოს ცხოველთა დაცვისა და გადარჩენის საზოგადოება Georgian Society for the Protection and Safety of Animals

საქართველო, თბილისი, ნუცუბიდის ფერდობი, II მ/რ., I კვარტალი, კორპ. 3ა
3a building, 1 Block, 2 Micro-District, Nutsubidze Plateau, Tbilisi, Georgi
www.gspssa.org.ge info@gspssa.org.ge +995 593 32 21 59 +995 577 923 910

N 91/20 4 თებერვალი 2020 წ.

საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტს

ასლი:

1. იურიდიულ საკითხთა კომიტეტს
2. რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტს
3. საფინანსო საბიუჯეტო კომიტეტს

„საქართველოს ცხოველთა დაცვისა და გადარჩენის საზოგადოება“ - GSPSA, „შინაურ ბინადარ ცხოველთა კეთილდღეობის შესახებ საქართველოს კანონპროექტის თაობაზე:

„საქართველოს ცხოველთა დაცვისა და გადარჩენის საზოგადოება“ გაეცნო საქართველოს კანონპროექტს „შინაურ ბინადარ ცხოველთა კეთილდღეობის შესახებ“ (ინიციატორები: საქართველოს პარლამენტის წევრები: კახაბერ კუჭავა, ზაზა ხუციშვილი, ოთარ დანელია, ენძელა მაჭავარიანი, გიორგი გაჩეჩილაძე, კობა ლურსმანაშვილი, სულხან მახათაძე, გოგი მეშველიანი, ლევან კობერიძე, გიორგი ხატიძე. ავტორები: ცხოველთა დაცვის არასამთავრობო ორგანიზაციები: „ცხოველთა უფლებების კომიტეტი“, ცხოველთა დაცვის ორგანიზაცია „ჰუმანიმალი“, „სოციალური პროგრამებისა და განვითარების ცენტრი“, „ცხოველთა უფლებების ადვოკატების ცენტრი“, ააიპ „ცხოველთა მეგობრები“, ააიპ „ცხოველთა სამყარო“, ააიპ „ცხოველთა დახმარების, უფლებების დაცვისა და რეაბილიტაციის ორგანიზაცია“, ააიპ „საქართველოს ცხოველთა დაცვის ფედერაცია“, ააიპ „ბუნებისა და ცხოველთა გადარჩენის ასოციაცია ნარა“, ააიპ „ვეგან ჯორჯია“, ააიპ „სრულიად საქართველოს ცხოველთა დაცვის საზოგადოება“, ააიპ „ძალთა გადარჩენისა და დაცვის ასოციაცია“, ააიპ „უსახლკარო ცხოველთა დაცვის საზოგადოება“, ა/კ თბილისის ზოოპარკის მონიტორინგის ჯგუფი).

კანონპროექტის გაცნობის შედეგად „საქართველოს ცხოველთა დაცვისა და გადარჩენის საზოგადოება“-ს აქვს შემდეგი შენიშვნები:

ჩვენი შეფასებით კანონპროექტში არსებული რეგულაციები ვერ უზრუნველყოფენ ცხოველთა კეთილდღეობასთან დაკავშირებული პრობლემების აღმოფხვრას და მათ დელეგირებას. შესაბამისად კანონპროექტი აუცილებლად საჭიროებს ძირეულ გადამუშავებას.

კანონპროექტში ძირითადი საკითხები აბსოლუტურად იგნორირებულია. არ არის ყურადღება გამახვილებული ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორც არის ქვეყნის მასშტაბით შინაურ ცხოველებთან მიმართებაში რომელიმე სახელმწიფო უწყების კომპეტენცია და ვალდებულება, ცხოველთა მოშენების და რეალიზაციის შესაბამისი რეგულაციები, მომავალი პატრონისთვის ცხოველის აყვანის ნებართვის გაცემა, ცხოველის ჩამორთმევა პირისთვის და შესაბამისი რეგულაციები, ცხოველის დაკარგვასა და პოვნასთან დაკავშირებული საკითხები, თავშესაფრების ლიკვიდაციის წესები და სხვა. კანონპროექტში არის მუხლები, რომლებიც მოითხოვს ძირეულ ცვლილებებს, ვხვდებით პროფესიონალურ გადაცდომებს და უსრულობას. კანონპროექტის შინაარსიდან გამომდინარე ძირითადი მიზანი გაუგებარია. რეგულაციები პრაქტიკულად ითვალისწინებს ისედაც არსებული მძიმე მდგომარეობის კიდევ უფრო გართულებას, პოპულაციის უკონტროლობას და მიუსაფარი ცხოველების ხელოვნურ მიგრაციას და რაოდენობრივ ზრდას, შესაბამისად ამის ფონზე უამრავ მოუწესრიგებელ საკითხებს.

თუ კანონპროექტი არ შემუშავდა პროფესიონალების და სპეციალისტების შენიშვნებით, მივიღებთ აბსოლუტურ უკონტროლო მდგომარეობას შინაურ ცხოველთა პოპულაციების მართვასთან და კონტროლთან დაკავშირებით, რაც დღევანდელი მდგომარეობითაც ისედაც საგრძნობლად უმართავია, უკუსვლას ცხოველთა დაცვასთან მიმართებაში, ცხოველებისადმი სისასტიკის და არასათანადო მოპყრობის არსებული მაჩვენებლის და დაავადებების არეალის ზრდას, მოსახლეობის იმ მცირე ნაწილის უნდობლობას სახელმწიფო სტრუქტურების მიმართ, რომლებიც ცხოველების გადარჩენით და მათთვის უკეთესი პირობების შექმნით არიან დაინტერესებული და სხვა არასასურველ შედეგებს. ბუნებრივია ამ სახით კანონის ძალაში შესვლა გამოიწვევს ბიუჯეტიდან დიდი თანხების გახარჯვას, მაგრამ არამიზნობრივს.

ხაზგასმით აღსანიშნავია, რომ კანონპროექტში საერთოდ არ არის ნახსენები სახელმწიფო ცენტრალიზებული რგოლი სახელმწიფო უწყების სახით, რომლის კომპეტენციაც იქნება შინაურ ცხოველთა პოპულაციების მართვის კონტროლი. წინააღმდეგ შემთხვევაში მნიშვნელოვანი საკითხები პრაქტიკულად მუნიციპალიტეტების პრობლემად რჩება, რომელსაც ისინი რა თქმა უნდა სათანადოდ ვერ დაარეგულირებენ.

აღნიშნულიდან გამომდინარე კანონპროექტი მოითხოვს საფუძვლიან გადახედვას და მუშაობას პროფესიონალების, არასამთავრობო ორგანიზაციების, შესაბამისი სახელმწიფო უწყებების (გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს წარმომადგენლების) ჩართულობით და საჭიროებს სრულყოფილ რედაქციას.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ 2018 წლის აგვისტოში „საქართველოს ცხოველთა დაცვისა და გადარჩენის საზოგადოებამ“ წერილით (N13/18 23.08.2018) მიმართა საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტს ამ კანონპროექტის

წინამორბედ საკანონმდებლო წინადადებებზე შენიშვნებით. ჩვენი შენიშვნები პრაქტიკულად იგივე საკითხებს მოიცავდა. მიუხედავად იმისა, რომ კომიტეტის თავმჯდომარისგან მივიღეთ პასუხი (N 8931/4-5 11.09.2018), სადაც წერია, რომ ჩვენი შენიშვნები და წინადადებები დაეხმარებოდა კომიტეტს ცალკეული საკითხების უკეთ დამუშავებასა და საკანონმდებლო ინიციატივის მომზადებაში, მაგრამ როგორც ჩვენთვის ცნობილია წარდგენილი შენიშვნები არავის არ განუხილავს. (დეტალური ინფორმაცია იხილეთ: <http://gspsa.org.ge/draft-lawanimal-1/>)

„საქართველოს ცხოველთა დაცვისა და გადარჩენის საზოგადოება“ უარყოფითად აფასებს ამ ეტაპზე წარმოდგენილ კანონპროექტს და მიიჩნევს, რომ კანონპროექტის არსებული რედაქციით ძალაში შესვლის შემთხვევაში, არა თუ გაუმჯობესდება ცხოველთა ყოფა და კეთილდღეობა საქართველოში, არამედ ისედაც რთული და მოუწესრიგებელი მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდება და მეტად უმართაობის პროვოცირებას მივიღებთ.

აღნიშნული კანონპროექტი წინააღმდეგობაში მოდის საერთაშორისო კონვენციებთან და მისი ზოგიერთი მუხლი არაკონსტიტუციურია. კანონპროექტი არღვევს, როგორც ცხოველის საერთაშორისო წესებით დადგენილ უფლებებს, ასევე ადამიანების უფლებებს საქართველოს კანონმდებლობასთან მიმართებაში.

„საქართველოს ცხოველთა დაცვისა და გადარჩენის საზოგადოება“ მზადყოფნას აცხადებს სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან, სახელმწიფო უწყებებთან და დარგის პროფესიონალ სპეციალისტებთან ერთად ჩაერთოს კანონპროექტის დახვეწის, უსრულობების, გადაცდომების აღმოფხვრის და გადამუშავების პროცესში, რომ მივიღოთ სრულყოფილი კანონი.


ამ ეტაპზე კი „საქართველოს ცხოველთა დაცვისა და გადარჩენის საზოგადოების“ მიერ გეგზავნებათ კანონპროექტზე „შინაურ ბინადარ ცხოველთა კეთილდღეობის შესახებ“ შენიშვნები და წინადადებები.

თან ერთვის:

1. საქართველოს კანონპროექტის „შინაურ ბინადარ ცხოველთა კეთილდღეობის შესახებ კანონის“ შენიშვნები - დანართი N1.
2. საქართველოს კანონპროექტის „შინაურ ბინადარ ცხოველთა კეთილდღეობის შესახებ კანონის“ შენიშვნები - დანართი N2.

პატივისცემით,

თეიმურაზ წიქორიძე



კავშირის თავმჯდომარე

აიპ „საქართველოს ცხოველთა დაცვისა და გადარჩენის საზოგადოება“.

Cc:

საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
თბილისის მერიის „ცხოველთა მონიტორინგის სააგენტო“